ასე თამაში არ შეიძლება

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 15 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “ლოკომოტივი” (მოსკოვი) – 0:1 (0:1).

“ლოკომოტივი”: კუბლიცკი, როგოვი, ზაბელინი, ჩერნიკოვი, არტემიევი, შიშაევი, ფილიაევი, ბუბუკინი, ვოროშილოვი, ლიადინი, კოვალიოვი.

“დინამო”: პირაევი, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ჭკუასელი, გაგნიძე, კალოევი, ზაზროევი, ხასაია.

მსაჯი: ე. ოდინცოვი (ლენინგრადი).

15 აპრილის შეხვედრას მოსკოვის “ლოკომიტივსა” და თბილისის “დინამოს” შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ორივე გუნდი მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვინაიდან თბილისელებს 4 შესაძლებლიდან ჰქონდათ მხოლოდ 1 ქულა, ხოლო მოსკოველებს ესეც არ გააჩნდათ. ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო დაძაბული, მწვავე სპორტული ბრძოლა.

მაგრამ მაყურებელი, რომელიც ასე ელოდა ამ მატჩს, გაცრუებული დარჩა. ეს არ იყო “ა” კლასის ფეხბურთელთა თამაში. მინდორზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, ისეთი ქაოსი სუფევდა, რომ საერთო განცვიფრებას იწვევდა. ბევრმა მართებულადაც აღნიშნა ასეთი არეული თამაში ჯერ არ გვინახავსო.

“ლოკომოტივს” ამ თამაშში ეტყობა, მხოლოდ “კომერციული” მიზანი ჰქონდა დასახული – რადაც არ უნდა დასჯდომოდა ქულა აეღო. ამიტომ თამაშის მეორე ნახევარი გუნდმა მთელი შემადგენლობით გაატარა თავის ნახევარზე და გაუვალი დაცვითი ზონა შექმნა 30–40 მეტრის სიღრმეში.

გოლი, რომელმაც რკინიგზელებს გამარჯვება მოუტანა, მათ ჯერ კიდევ მე–7 წუთზე გაიტანეს. ვოროშილოვმა, ჩუბუკინმა და ფილიაევმა სწრაფად გაითამაშეს კომბინაცია ადგილების შეცვლით, ფილიაევი ცენტრში გადმოვიდა და აქ თავისუფალ ადგილას მიიღო ბურთი. მან არ დააყოვნა მისი კარში გაგზავნა – 1:0.

ეს უკვე მესამე თამაშია მიმდინარე ჩემპიონატში და პირველ გოლს დინამოელები მესამეჯერ ღებულობენ თავის კარში. როგორც ყოველთვის, გატანილი გოლის შემდეგ მათი რიგები აირდაირია, ნახევარდაცვა სრულიად მოწყდა თავდასხმას. დაიკარგა ყოველგვარი კონტაქტი ხაზებს შორის. მცველები მოქმედებდნენ ქაოტურად, ნერვიულად, ბურთებს იგერიებდნენ უმისამართოდ. ღოღობერიძე რატომღაც საჭიროდ თვლიდა სახიფათო სიტუაციაშიც კი ეტარებინა ბურთი საჯარიმო მოედანზე, თუმცა ეს მოწინააღმდეგის კი არა, საკუთარი საჯარიმო მოედანი იყო და ბურთის ტარებას ზანის გარდა არაფრის მოტანა არ შეეძლო.

მაგრამ თუ “დინამოს” დაცვის თამაში გასაკრიტიკებელი იყო, ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა თავდასხმის თამაში. ხუთივე თავდამსხმელი თამაშობდა (უფრო სწორად რომ ვთქვათ, არ თამაშობდა) როგორც რაღაც დამოუკიდებელი ერთეული: არავითარი შეთამაშება, კომბინაციები, ურთიერთ გაგება. ბურთი სულ მცირე ხნითაც კი არ ჩერდებოდა რკინიგზელთა ნახევარზე. თუ რომელიმე გადაცემა იშვიათად მიაღწევდა “დინამოს” თავდამსხმელამდე, იგი, როგორც წესი, ან იქვე აბარებდა, ან სადმე უფრო “მოხერხებულ” ადგილას აწოდებდა მას მოწინააღმდეგეს. არც ერთი გააზრებული კომბინაცია, არც ერთი დაგეგმილი, მოფიქრებული გათამაშება, კარში დარტყმა ან მოულოდნელობა.

როცა მოსკოველები დარწმუნდნენ, რომ ინიციატივა მტკიცედ იყო მათ ხელში, ტემპიც მოუმატეს. ბუბუკინი, ვოროშილოვი, ფილიაევი და სხვები თავისუფლად გადიოდნენ “დინამოს” ნახევარმცველთა და მცველთა მიერ დატოვებულ “დერეფნებში” და სურვილისამებრ ანაწილებდნენ ბურთებს.

თუ პირველ ტაიმში თამაშს ასე თუ ისე ჰქონდა რაღაც ინტერესი, შესვენების შემდეგ ისიც დაიკარგა. ორივე გუნდის მოთამაშეები განუწყვეტლივ უხეშობდნენ, აჩერებდნენ ბურთს, უანგარიშოდ ურტყამდნენ გაურკვეველი მიმართულებით.

ერთადერთი მომენტი, რომელიც შეიძლებოდა გოლით დამთავრებულიყო, ეს იყო ჭკუასელის დარტყმა 29–ე წუთზე, მაგრამ ბურთი მოხვდა ძელს და დაუბრუნდა მოედანს.

ამრიგად, თბილისის “დინამომ” კვლავ განიცადა დამარცხება – 0:1.

განვლილი ჩემპიონატის სამი ტური, ეს ჯერ სტარტია, მაგრამ თბილისელებმა უკვე მოასწრეს 5 ქულის დაკარგვა 6–დან. ეს საგანგაშო ციფრია (გავიხსენოთ,რომ შარშან 3 ტურის შემდეგ გუნდს ჰქონდა 4 ქულა და იმყოფებოდა მეხუთე ადგილზე. ახლა კი იგი მეთერთმეტე ადგილზეა).

ასე თამაში არ შეიძლება. თბილისის დინამოელები ყოველთვის თამაშობდნენ ტემპიანად, აგრესიულად, სწრაფად, ყოველი მოთამაშის მაღალი დატვირთვით, ფართო მანევრებით. ასე იგებდნენ ისინი მატჩებს უწინ, ასე გატეხეს მათ მოსკოვის "დინამოსა" და "სპარტაკის" უპირატესობა სულ ახლახან, პირველ ორ მატჩში. გუნდი თითქოს იბრუნებდა თამაშის ძველ სტილს, მაგრამ ის, რაც თბილისის "დინამომ" მაყურებელს აჩვენა 15 აპრილს, ყოვლად დაუშვებელია.

მდგომარეობის გამოსწორება საჭიროა ახლავე, თორემ მერე გვიანი იქნება.

რამდენიმე სიტყვა მსაჯის შესახებ. ე. ოდინცოვმა მეტად დაბალ დონეზე ჩაატარა აღნიშნული მატჩი. იგი შეცდომებით და ისიც მოგვიანებით ერკვევა შექმნილ მდგომარეობაში. ხშირად სჯის დამნაშავის სასარგებლოდ, ვერ ებრძვის უხეშობას, არა აქვს ავტორიტეტი მოთამაშეებში და ა.შ. ასეთ მსაჯებს, რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ უხელმძღვანელონ "ა" კლასის გუნდების თამაშს.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა – 4:2. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ზოგიერთი ახალგაზრდა მოთამაშის ყოვლად უპასუხისმგებლო, უგულო თამაშს. ჩვენ მხედველობაში გვყავს მესხი, ქვლივიძე, კურტანიძე და სხვანი, რომლებიც მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში დოინჯშემოყრილები იდგნენ "ნეიტრალურ ტერიტორიაზე" და მხოლოდ ხანდახან მოძრაობდნენ ზარმაცად და უხალისოდ. როდისღა უნდა აჩვენოს მოთამაშემ თავისი მონდომება და ენერგია თუ არა მაშინ, როცა იგი 17–18 წლისაა?

ბ. ქორქია.
"ლელო", 18 აპრილი, 1956 წ.